

სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები

სტუდენტს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი და ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება, ასევე მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;
- ბ) უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ბსუ-ს მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად შეიწყვიტოს ან შეიჩეროს სტუდენტის სტატუსი, ისარგებლოს მობილობით/შიდა მობილობით;
- დ) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს ან/და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში და უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოებში;
- ე) მიიღოს კონსულტაცია ბსუ-ს უფლებამოსილი პირისგან საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსების, სასწავლო კურსების, გამოცდების ჩატარების და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხების თაობაზე;
- ვ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს გამოცდების შედეგები.

სტუდენტი ვალდებულია:

- ა) შეასრულოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები და ამ მიზნით, დადგენილ ვადაში გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია (ელექტრონულად დაარეგისტრიროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები) და შეასრულოს შესაბამისი სილაბუსებით გათვალისწინებული სამუშაო;
- ბ) სარგებლობისას გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, შეინარჩუნოს მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მდგომარეობა;
- გ) დადგენილ ვადაში გადაიხადოს ბსუ-ში სწავლის საფასური (გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია);
- დ) სისტემატიურად ისარგებლოს „სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემით, რომლის საშუალებითაც მიეწოდება მას უნივერსიტეტისაგან გაგზავნილი შეტყობინებები ან/და ინფორმაცია შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემის თაობაზე;
- ე) გაეცნოს უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებს (განთავსდება უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე/ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში/ კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე/ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.bsu.edu.ge.) ან/და უნივერსიტეტის გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“)
- ვ) ჯეროვნად შეასრულოს უნივერსიტეტის აქტებით, მოქმედი კანონმდებლობითა და სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები (დანართი 2-ის მე-6 მუხლი).